

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #15

ქ. თბილისი

2022 წელი, 8 აგვისტო, 16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ოთარ გრიგოლია, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, მამუკა გუგუშვილი, ლილე ლიპარტელიანი, მიხეილ კაკაურიძე, მიხეილ კაკაურიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ზაზა თავაძე, საბა ბუაძე, ნინო წულაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

დავით ჯაიანი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი

ქვარა ჩართოლანი - ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მოადგილე

ირაკლი თავართქილაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი

თემურ ბოლოთაშვილი - სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი

ნინო ზაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ოთარ ჩიტიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში“ პროექტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ (საკრებულოს №12-032221694-03- 04.08.2022)

2.	<p>ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრო რაიონებს შორის №01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/ მათი უფლებამონაცვლებებისთვის დაინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ.24559990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-032220249-03 21.07.2022)</p>
3.	<p>„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032221786-03-05.08.2022; 16-032222073-03- 08.08.2022)</p>
4.	<p>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032221786-03-05.08.2022; 16-032222073-03-08.08.2022)</p>
5.	<p>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0322193196-03 12.07.2022; №12-032212440-03 04.05.2022)</p>
6.	<p>„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032220211-03 21.07.2022; №12-032220380-03 22.07.2022; 12-03222152-03 - 03.08.2022; 12-032221533-03 - 03.08.2022; 12-032135655-03 - 22.12.2021 „დ“ პოზიცია; 12-03220486-03 -17.02.2022 - „გ“ პოზიცია; №12-032220246-03 21.07.2022 (საბაგირო); 12-032221627-03- 04.08.2022 (არეალი); 12-032221793-03-05.08.2022 (არეალის დაზუსტება))</p>
7.	<p>ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, III და IV მ/რ-ებს შორის არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.104) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032220217-03 21.07.2022)</p>
8.	<p>„ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032220256-03 21.07.2022)</p>

9.	„ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. №72, №74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.015.057; №01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის №85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032220651-03 25.07.2022)
10.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.21.953; №81.02.21.679; №81.02.21.689) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032220693-03 25.07.2022)
11.	ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.001.184, №01.14.17.001.185, №01.10.18.006.134, №01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №304 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032220694-03 25.07.2022)
12.	ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.918; №72.16.23.919; №72.16.23.920; №72.16.23.941; №72.16.23.943; №72.16.23.962; №72.16.32.024; №72.16.32.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032220764-03 26.07.2022)
13.	„ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.09.007.072; N01.17.09.007.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032221575-03 - 03.08.2022)
14.	„ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ. N31-ში მთაწმინდის ქ. N19-17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032221576-03 - 03.08.2022)

15.	ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.571; N01.17.14.003.187) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032221577-03 - 03.08.2022)
16.	„ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გარდაბანში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის N124 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032221579-03 - 03.08.2022)
17.	“ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი, N2-ში; ქალაქი თბილისი, კრწანისის I ჩიხი; ქალაქი თბილისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084; N01.18.06.015.237; N01.18.06.015.235) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032221769-03-05.08.2022)
18.	ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.017) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03221436-03 23.05.2022; 17-032221051-03- 29.07.2022)
19.	ქალაქ თბილისში, ქუჩა ც. დადიანი, № 32; ქალაქი თბილისი, ქუჩა რკინიგზა, №30; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, №26 , ჩოდრიშვილის №2; ქალაქი თბილისი, რევაზ ურიდიას ქუჩა, №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.12.12.011.111; №01.12.12.011.120; №01.12.12.011.128; №01.12.12.011.001; №01.12.12.011.116; №01.12.12.011.129; №01.12.12.033.023; №01.12.12.033.019; №01.12.12.033.020; №01.12.12.033.022) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032218235-03 01.07.2022)

20.	<p>ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ერედვის ქუჩა, №87, №83, №85, №81, №84, №94, №100, №98, №96, №92, №84, №91, №89-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.038.116, №01.72.14.038.118, №01.72.14.038.117, №01.72.14.038.657, №01.72.14.056.129, №01.72.14.038.112, №01.72.14.038.368, №01.72.14.038.521, №01.72.14.038.522, №01.72.14.038.915, №01.72.14.038.178, №01.72.14.056.128, №01.72.14.038.972, №01.72.14.038.520) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032218631-03 05.07.2022)</p>
21.	<p>ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12; ქალაქი თბილისი, ჭიჭინაძის ქუჩა, თარგი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.052; N01.19.33.012.014; N01.19.33.012.011) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0322159121-03 – 08.06.2022)</p>
22.	<p>ქ.თბილისში, ა.წერეთლის გამზირი №23-25-სა (ს/კ. №01.13.07.008.002) და ქუჩა ბათუმი №11/ა.წერეთლის გამზირი №19-21-ში (ს/კ №01.13.07.008.003) არსებული ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების შესახებ (საკრებულოს №10/032215035-03 30.05.2022)</p>
23.	<p>„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „პალა ინვესტ ჯგუფის“ (ს/ ნ 405507250) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა, #5ა (ს/კ 01.10.10.006.024) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული მხარდაჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032221616-03- 04.08.2022)</p>
24.	<p>„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „დომუს - ვაკის პარკის“ (ს/ნ 405127937) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032221616-03- 04.08.2022)</p>
25.	<p>შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „მეგა დიდუბე“ -ს (ს/ნ 404565430) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032221616-03- 04.08.2022)</p>
26.	<p>შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „სექტორი 7“-ის (ს/ნ 405388129) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032221616-03- 04.08.2022)</p>

35.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი და შპს „ოსტატის“ (ს/ნ 400145758) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03222181-03-06.08.2022)
36.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „სოხუმი-2004“-ის (ს/ნ 249271746) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03222181-03-06.08.2022)
37.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „პროპერტი ინვესტ გრუპის“ (ს/ნ 405483285) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-03222181-03-06.08.2022)
38.	შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „დელისი დეველოპმენტის“ (ს/ნ 405466865) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032212414-03-04.05.2022)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა კომისიის სხდომის დაწყებამდე ითხოვა სიტყვა, მისი თქმით, კომისიის შემადგენლობა შეიცვალა და კომისიას დაემატა საკრებულოს წევრი ოთარ გრიგოლია, რომელიც შესაბამისი პროცედურების დარღვევით გახდა კომისიის წევრი, მ/წლის 12 ივლისის საკრებულოს სხდომა ჩაიშალა და რის შედეგადაც კომისიის პერსონალური შემადგენლობა ვერ შეიცვლებოდა.

აღნიშნულზე კომისიის წევრმა გიორგი ტყემალაძემ განმარტა, საკრებულოს წევრი ოთარ გრიგოლია სრული პროცედურების და რეგლამენტის გათვლისწინებით გახდა კომისიის წევრი, საკრებულოს ბიურს სხდომაზე დამტკიცებით.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში“ პროექტის

ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ (საკრებულოს №12-032221694-03- 04.08.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა დავით ჯაიანმა. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის, „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია 47, 000, 000 (ორმოცდაშვიდი მილიონი) ევროს ოდენობის სესხის და 1,500,000 (მილიონ ხუთასი ათასი) ევროს ოდენობის გრანტის შეთანხმებაზე ხელმოწერა, რომელიც მიზნად ისახავს თბილისში გონიერი სატრანსპორტო სისტემისა (ITS) და მდგრადი სატრანსპორტო და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ხოლო გრანტის სახსრებით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექსპერტ-კონსულტანტთა ჯგუფის მიერ წინამდებარე პროექტის განხორციელების ტექნიკურ მხარდაჭერას. პროექტის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტი სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებულ 47,000,000 (ორმოცდაშვიდი მილიონი) ევროს მიღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შემდგომში გასაფორმებელი ქვესასესხო ხელშეკრულების, ხოლო 1,500,000 (მილიონ ხუთასი ათასი) ევროს გრანტს - პროექტის აღსრულების უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის თანახმად, სესხით დაფინანსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები: 1. საგზაო მოძრაობის მართვის ინტელექტუალური სისტემა (ITS): - მართვის ცენტრის დანერგვა, მონაცემთა პლატფორმის, ქუჩის სენსორების და სიგნალების გადაცემის ტექნოლოგიის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ძირითად ელემენტს ურბანული საგზაო მოძრაობისა და პარკირების სივრცეების კლიმატ-მგრძობიარე რეალურ დროში მონიტორინგისა და მართვისთვის. 2. ეკომობილობის ქსელების ცვლილება და გაფართოება, ასევე „მწვანე ურბანული დიზაინისა და მობილობის“ კორიდორების პროექტირება და განხორციელება: - ავტობუსების სატრანსპორტო შესაძლებლობების რენტაბელური გაფართოება და ოპტიმიზაცია ენერგოეფექტური გადაწყვეტების დანერგვით „ავტობუსების სწრაფი ტრანზიტის (BRT) (ასევე სახელწოდებით თბილისის საავტობუსო ტრანზიტი“ (TBT)) ჩათვლით, კერძოდ, ცალკეული ავტობუსების ხაზები (აგრეთვე წოდებული თბილისის ავტობუსების ტრანსპორტი, TBT) და სატრანსპორტო საშუალებების არსებული რეჟიმების ინტეგრაციით (კერძო მინიავტობუსები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტაქსი, ველოსიპედით სასაქონლო და ქვეითთა მოძრაობის ადგილები). - ველოსიპედით სეირნობისა და ქვეითთა მოძრაობის ქსელების შეცვლის და გაფართოების პრიორიტეტული ღონისძიებები, სადაც შესაძლებელი იქნება ქუჩის ინტეგრირებული დიზაინის (მწვანე კორიდორის) ნაწილის სახით. გრანტიდან დაფინანსებული იქნება შემდეგი თანხმობის ღონისძიება (AM): 1.საკონსულტაციო მომსახურებები პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსა (PEA) და ასევე თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის დახმარების გასაწევად, საინვესტიციო ღონისძიებების განხორციელებასა და მუშაობაში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შესყიდვის მომსახურებებზე შესაძლებლობების განვითარების შემდეგ სფეროებში: ადმინისტრირება და ინსტიტუციონალური მართვა; ტარიფიკაცია, ფინანსური დაგეგმარება და ბუღალტრული აღრიცხვა; ადამიანური რესურსების მართვა; მდგრადი ტექნიკური მუშაობა; სოციალური და გარემოსდაცვითი მართვა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ჩათვლით; საზოგადოებრივი ურთიერთობები/კომუნიკაცია და დაინტერესებულ პირთა/ აქციონერთა ჩართულობა; აქციონერთა/ საზოგადოებრივი ჩართულობა და მონაწილეობა; ხილვადობა. პროექტის მიზანია შესაბამისობაში მოიყვანოს თბილისის საგზაო მოძრაობის მართვა და სატრანსპორტო

საშუალებები კლიმატის დაცვის მიზნებთან. ასევე, პროექტი მიზნად ისახავს, ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, სათბურის გაზების (GHG) ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნას და ამით სატრანსპორტო სისტემის კლიმატისა და გარემოს თავსებადობის გაუმჯობესებას.

საკითხს მხარი არ დაუჭირა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. ქალაქ თბილისში, დიდი დიდის დასახლება, III და IV მიკრო რაიონებს შორის №01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/ მათი უფლებამონაცვლეებისთვის დაინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ.245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ ([საკრებულოს №12-032220249-03 21.07.2022](#))

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“) განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2022 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 4 მარტის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“) – რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, დიდი დიდის დასახლება, III და IV მიკრო/რაიონებს შორის - N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ფართობი: 19000 კვ. მ) პრივატიზება, მ ა ს ზ ე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა (შემდგომში - „სამშენებლო პროექტი“), მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა არაუმეტეს 1.8-ით (ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა-5), ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 3 450 კვ.მ-ით. აღნიშნული

ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენის განსაზღვრულ ვადაში (2022 წლის 4 მარტი, 18:00) სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 3 (სამი) დაინტერესებული პირის განცხადება, რომელთაც თან ახლდა დალუქული კონვერტები. წარმოდგენილი განაცხად(ებ)ის (დალუქული კონვერტების) გახსნის თაობაზე, სააგენტოს 2022 წლის 9 მარტის N1 ოქმის თანახმად დადგინდა, რომ შპს „არომას“ – (ს/კ: 245599990) (შემდგომში - „კომპანია“) მიერ 2022 წლის 4 მარტის N10/01220632156-61 განაცხადზე დალუქული კონვერტით წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება - ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 9000 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) (შემდგომში - „გადასაცემი ფართი“) - უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ წინადადებებთან მიმართებით. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი იყო ინტერესთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით (სს თიბისი ბანკის - ს/კ: 204854595 მიერ 2022 წლის 1 მარტს გაცემული საბანკო გარანტია N07703125-11878631) ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრულ ვადაში, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა მომავალი საკუთრების/საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზრუნველყოფის პირობით) შესრულების უზრუნველსაყოფად. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს 2022 წლის 10 მარტის N61-01220692479 წერილის თანახმად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „არომა“ (ს/ კ: 245599990) (შემდგომში - „კომპანია“). შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა სამშენებლო პროექტის ფარგლებში დასაკმაყოფილებლ პირთა სიის ფორმირება. მიზანშეწონილია განიმარტოს, რომ კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებისას რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დადგენილია „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით. კერძოდ, მითითებული განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ორი კრიტერიუმით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ქულით (შემდგომში - „სარეიტინგო ქულა“) ან/და ტერიტორიულობის პრინციპით. სარეიტინგო ქულის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე პირს, ტერიტორიულობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ უპირატესობა ენიჭება პირს, რომელსაც უნდა აშენებოდა კოოპერატიული საცხოვრებელი ბინა იმავე რაიონში, სადაც, კონკრეტული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი მოიაზრებს დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილებას. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტი ადგენს გამონაკლისსაც და განსაზღვრავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, დაზარალებულ პირთა რიგითობა განსაზღვროს ამ ორი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების

დაკმაყოფილება (119 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღსანიშნავია, ასევე, რომ ზოგიერთმა პირმა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მითითებულ კრიტერიუმებს, სიის ფორმირების პროცესში, სააგენტოს შესაბამის თანამშრომლებთან სატელეფონო კომუნიკაციისას, უარი განაცხადეს წარმოდგენილი განკარგულებით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამშენებლო პროექტში დაკმაყოფილებაზე. ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო მათთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრულია გადასაცემი საცხოვრებელი ფართების პროპორციულად. განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართების ოდენობა, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ფართის ოდენობას. დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. გადასაცემი ფართის ჯამური ოდენობის კონკრეტული რიცხვით შეზღუდვის გამო, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის შემცირება არაუმეტეს 1 კვ.მ-ით, რათა თითოეული მათგანის მიერ მისაღები ინდივიდუალური ფართი არ ყოფილიყო გადასაცემი ფართის ჯამურ ოდენობაზე მეტი. განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 იანვრის (საქმე N3/122-16; მოსარჩელე - ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ფეიქარი-629“) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა საკუთრებაში გადაეცა ბმა „ფეიქარი-629“-ს, რომელიც წარმოადგენს N629 კოოპერატივის უფლებამონაცვლეს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ბმა „ფეიქარი-629“-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა, როგორც N629 კოოპერატივისათვის გამოყოფილი ქონება. ამასთან, საჯარო რეესტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის N882020758225 ამონაწერის თანახმად, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად, გარდა ხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილებისა, მითითებულია ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს

ადმასრულებელი კომიტეტის 10 დეკემბრის N30.16.741 გადაწყვეტილება, რომლითაც კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან შექმნილ საბინაო სამშენებლო კოოპერატივს, ორი 16 სართულიანი სახლის ასაშენებლად, ავჭალის გზატკეცილზე გამოეყო მიწის ნაკვეთი. რეგისტრაციის საფუძველად, ასევე მითითებულია ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ადმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 4 მაისის N09.13.213 გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და აბრეშუმის საფეიქრო სამკერვალო საწარმოო გაერთიანებასთან შეიქმნა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი რიგითი ნომრით 629. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ბმა „ფეიქარი-629“-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია წარმოადგენს აღნიშნული კოოპერატივის წინაშე ნაკისრი სახელმწიფო საბინაო ვალის დაფარულად მიჩნევის წინაპირობას. ამდენად, ვინაიდან, წარმოდგენილი განკარგულების დანართი N1-ის 21-ე და 43-ე პუნქტებით გათვალისწინებული N629 კოოპერატივის წევრებს: ლიანა მონიავას (პ.ნ: 01012018267) და ზურაბ მთიულიშვილს (პ.ნ: 01009002647) კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვთ მიღებული უძრავი ქონება, მათ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც, აღნიშნული პირები, ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრო/რაიონებს შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს ამბობენ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) მათ კუთვნილ წილზე და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, III და IV მიკრორაიონებს შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ. მ მიწის ნაკვეთის განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხსა და მათთან დასადები ხელშეკრულების პროექტზე, განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულქემ.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032221786-03-05.08.2022; 16-032222073-03- 08.08.2022)

საკითხი წარმოადგინა ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მოადგილე ქვარა ჩართოლანმა. მისი თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა რაიონში მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით ჩანაცვლებისათვის საჭირო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის საწყის ეტაპზევე გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომელთა მიხედვით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესში“ (შემდგომში - წესი) ცვლილებათა შეტანის გარეშე, ფერხდება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის დაგეგმილი სახით განხორციელება. წარმოდგენილი პროექტით წესის მე-4 მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც, ავარიული სახლის ჩანაცვლების შედეგად წარმოშობილი ფართები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირდება, ხოლო მათი განკარგვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს ჩართულობით ხდება. თუმცა, განკარგვის საფუძვლად პროექტის განმახორციელებლის წერილობითი მიმართვა დგინდება. წესი, თავდაპირველი სახით, შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს დასკვნას უკავშირდება. ახალი რედაქციით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანების ხარისხის განსაზღვრა (ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ დასკვნის საფუძველზეც იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება მიმართულია თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში გასაცემი საექსპერტო მომსახურების ხარჯების შემცირებისკენ. ცვლილებას განიცდის მესაკუთრეთა თანხმობის პირობაც. კერძოდ, თუ წესის ამოქმედებამდე დაინტერესებული პირის საკუთრებად აღრიცხულია მხოლოდ სარდაფის ან სხვენი ან სათავსის ფართობი, პროექტის განმახორციელებელს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმებით, შეეძლება მისი გამოსყიდვა. მისი ღირებულება უნდა განისაზღვროს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შეფასების საფუძველზე, იმ დათქმით, რომ შესაფასებელი ქონება მდებარეობს არავარიულ შენობაში. აღნიშნული მიდგომა უპირატესად ნაკარნახევია ავარიული სახლების იმ მაცხოვრებელთა ინტერესებით, რომლებიც შენობის საგანგაშო ტექნიკური მდგომარეობის გამო საცხოვრებლის გარეშე დარჩნენ და ვერ ახერხებენ ჩანაცვლების პროგრამაში ჩართვას, სხვა მესაკუთრეებთან ქონებრივ საწყისებზე დამყარებული უთანხმოების გამო. პროექტის განმახორციელებელს ეძლევა უფლებამოსილება, თითოეულ შემთხვევაში, თანაზომიერების პრინციპის კონტექსტში, ინდივიდუალურად შეაფასოს პროექტის შეუფერხებლად მსვლელობა საჭიროებს თუ არა მესაკუთრეთა წრის ცვლილებას. იმის გათვალისწინებით, რომ წესის უმთავრესი მიზანი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფაა, ასევე დასაშვები ხდება დაინტერესებული პირისთვის გადასაცემი ფართის რაოდენობის ზრდა იმგვარად, რომ უძრავი ქონების ფართობმა დააკმაყოფილოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების

მოთხოვნებსა და გაზიფიცირებისათვის საჭირო რეგულაციები. წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი ასევე მიჯნავს საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე ფართების სარემონტო კონდიციებს, რაც მათი გამოყენების დანიშნულებიდან გამომდინარეობს და მიემართება პროექტის განმახორციელებლის ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯების შემცირებისკენ.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულუმეძე.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ [\(საკრებულოს №12-032221786-03-05.08.2022; 16-032222073-03-08.08.2022\)](#)

საკითხი წარმოადგინა ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მოადგილე ქვარა ჩართოლანმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი“, რომლის თანახმადაც ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი“. ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, რომელიც თავის მხრივ გულიხმობს ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ დაკვეთით ახალი მრავალბინიანი სახლების მშენებლობას, მიზანშეწონილია ამ მშენებარე ობიექტებზე არ გავრცელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული პირებისათვის და მშენებლობის ნებართვის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (შემდგომში - მოსაკრებელი). ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებით დამტკიცებულ „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესში და განისაზღვრება, რომ მოსაკრებელი არ ვრცელდება იმ მშენებარე ობიექტზე, რომელსაც ახორციელებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით გათვალისწინებული პროექტის განმახორციელებელი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულბემ.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0322193196-03 12.07.2022; №12-032212440-03 04.05.2022)

საკითხი წარმოადგინა სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსაურის უფროსმა თემურ ბოლოთაშვილმა. მისი თქმით, (12-0322193196-03 12.07.2022) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით, მშენებლობა დამთავრებულ ობიექტებზე ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია კონდიციონების მოწყობილობა/დანადგარების განთავსება. წინამდებარე ცვლილების პროექტი ითვალისწინებს გამონაკლისის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული შენობა/ფართი არ იძლევა ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით კონდიციონების მოწყობილობა/დანადგარების განთავსების შესაძლებლობას, მსგავსი დანადგარების განთავსებას შენობის ქუჩის მხარე ფასადზე, მათი დეკორატიული ელემენტებით (ქალუზი, ეკრანი და სხვა) შემოსვაშენილბვისა და ერთიანი იერსახის დაცვის პირობით. სამომავლოდ მსგავსი დანადგარების განთავსების სახის მოწესრიგების მიზნით, ცვლილების პროექტით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტს ემატება „ბ 1“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, სავალდებულო ხდება საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული მოწყობილობა/დანადგარების განთავსებისათვის გამყოფი ადგილების გათვალისწინება, კანონმდებლობისა და ამავე მუხლის მოთხოვნების დაცვით (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა) . ასევე, წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ცვლილების შეტანას „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ქუჩის მიმდებარე გამწვანებულ ზოლზე და გაზონზე, სარეკლამო ბილბორდებისა და სატრანსპორტო საშუალების დასამუხტი მოწყობილობების განთავსება.

ასევე წარმოდგენილ იქნა ცვლილების შეტანის მეორე პროექტი, (№12-032212440-03 04.05.2022) წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხდება მხოლოდ საკითხის დაზუსტება და მისი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით წესში რეგლამენტაცია. კერძოდ, წესში ზუსტდება, რომ გარე

რეკლამის კერძო საკუთრებაში (ან მომიჯნავე კერძო საკუთრებებში) განთავსებისას, თუ ხდება მისი დეტალ(ებ)ის ნებისმიერი ფორმით/ზომით გაცდენა კერძო საკუთრებიდან, საჭიროა გარე რეკლამის განთავსების ნებართვ(ებ)ის მფლობელის თანხმობა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნინო წულუმეძემ. ხოლო საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032220211-03 21.07.2022; №12-032220380-03 22.07.2022; 12-03222152-03 - 03.08.2022; 12-032221533-03 - 03.08.2022; 12-032135655-03 – 22.12.2021 „დ“ პოზიცია; 12-03220486-03 -17.02.2022 - „გ“ პოზიცია; №12-032220246-03 21.07.2022 (საბაგირო); 12-032221627-03- 04.08.2022 (არეალი); 12-032221793-03-05.08.2022 (არეალის დაზუსტება))

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032220211-03 21.07.2022; №12-032220380-03 22.07.2022; 12-03222152-03 - 03.08.2022; 12-032221533-03 - 03.08.2022; 12-032135655-03 – 22.12.2021 „დ“ პოზიცია; 12-03220486-03 -17.02.2022 - „გ“ პოზიცია; №12-032220246-03 21.07.2022 (საბაგირო); 12-032221627-03- 04.08.2022 (არეალი); 12-032221793-03-05.08.2022 (არეალის დაზუსტება)) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტიძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 24 წინადადება და პროექტში შესატანი ცალკეული ცვლილებები, კერძოდ:

№12-032220211-03 21.07.2022;

ა) ქალაქ თბილისში, ეგრისის ქუჩა N31თ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.431) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 19 ივლისის N01222003317 წერილის მიხედვით, განსახილველ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ერთიანი კონფიგურაციის ჩამოყალიბებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, მიზანშეწონილია გაუქმდეს

საპროექტო მიწის ნაკვეთის დასავლეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მონაკვეთი. ასევე, დაკორექტირდეს განსახილველ ტერიტორიაზე და მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.328, N01.72.14.008.329 და მიმდებარე ტერიტორია) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გავრცელდეს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ფაქტობრივ გზაზე. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ფაქტობრივი დემოზონების ასახვის მიზნით ხორციელდება N01.72.14.008.328, N01.72.14.008.329 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 1 ივლისის N01221922101 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ეგრისის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.431; N01.72.14.008.328, N01.72.14.008.329) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ითა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ბ) ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.13.397) მიმდებარედ მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა; N72.13.13.397 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში ტერიტორიის ლეგალიზება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 6 ივლისის N01221871288 წერილის შესაბამისად, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა. **მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით გადადებულ იქნა.**

გ) ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N1; ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.011.085; N01.17.10.011.020) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურების ობიექტი (ავტოსერვისის) განთავსება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და

საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს ან ავტოგასამართ კომპლექსებს, აირგასამართ ან აირსავსებ საკომპრესორო სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს და სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები). იმავე განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 2-ში (ტზ-2) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფი სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 6 ივლისის N0122187304 წერილის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სს „საქართველოს რკინიგზის“ დადებითი პოზიცია (N2736; 30.06.2022) განსახილველ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N1; ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.011.085; N01.17.10.011.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.053) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს N01.72.14.055.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 6 ივლისის N18-01221871247 წერილის შესაბამისად, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.055.053) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.022) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს N01.13.02.005.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 8 ივლისის N01221892309 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და

მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.022) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია;

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტბემ. მისი თქმით,

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.953; N81.02.21.679; N81.02.21.689). საპროექტო არეალის ფართობი ჯამში შეადგენს: 15 649 კვ.მ. საპროექტო არეალს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება არსებული გრუნტის გზა, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან - კერძო მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთიდან ასევე კერძო მიწის ნაკვეთები და არსებული გზა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.689; N81.02.21.679) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N167 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, რომლის კორექტირებაც განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N270 განკარგულებით. შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. საპროექტო ტერიტორია დაყოფილია 13 ნაკვეთად, მათ შორის, 12 ინდივიდუალური სახლებისთვის და 1 - გზისთვის/ტროტუარებისთვის. გზის და ტროტუარების არეალს დაედება ტზ-1 (კ-3=0,1) და სერვიტუტი, ხოლო დანარჩენ ტერიტორიას - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). საპროექტო ტერიტორიაზე გადის მიწისქვეშა გაზსადენი, ამ მილის ორივე მხარეს გათვალისწინებული იქნება 2მ-იანი სერვიტუტი, ხოლო საპროექტო შენობებამდე მანძილი - 10მ., სერვიტუტის არეალში დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი კონსტრუქციის ღობის მშენებლობა. საპროექტო ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლებია: საპროექტო არეალის ფართობი - 15 649 კვ.მ. ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 15 მ. შენობა-ნაგებობების მაქს. სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული ნაკვეთი N1-2-3-4-5-6-7-8-9-10 საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) კ1=0,5; კ2=0,8; კ3=0,4 ნაკვეთი N11- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კ1-; კ2-; კ3=0,1 ნაკვეთი N12-13 - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კ1=0,5; კ2=0,8; კ3=0,4 კ1-; კ2-; კ3=0,1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 4 ივლისის N01221852946 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 ივლისის N01221943165 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულქემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.953; N81.02.21.679; N81.02.21.689) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის

პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032220693-03 25.07.2022წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01221732576-67 (N01221922965-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

11. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.001.184, №01.14.17.001.185, №01.10.18.006.134, №01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №304 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-032220694-03 25.07.2022](http://www.ms.gov.ge))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტინემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (საკადასტრო კოდები: N01.10.18.006.394; N01.10.18.006.372; N01.10.18.006.378; N01.10.18.006.375; N01.10.18.006.235; N01.10.18.006.395; N01.10.18.006.376; N01.10.18.006.236; N01.10.18.006.396; N01.10.18.006.293 ;N01.10.18.006.018; N01.10.18.006.399; N01.10.18.006.400; N01.10.18.006.327; N01.10.18.006.384). საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს რთულ რელიეფს. ტერიტორია შიდა გზით უერთდება ლისის ქუჩას, რომელიც თავის მხრივ გადის მ. მაჭავარიანი ქუჩაზე, საიდანაც საპროექტო ტერიტორიას აქვს სატრანსპორტო წვდომა ქალაქთან. ნაკვეთს სამხრეთის მხრიდან ემიჯნება ახალი საცხოვრებელი უბანი „ლისი ვერანდა“. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილებით ტერიტორიის განვითარება ხდება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებით, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ცვლილების მიზანია მიწის ნაკვეთების ოპტიმალური გადანაწილება, რათა აღმოფხვრილიყო მცირედი ზედდებები და საკადასტროებს შორის დარჩენილი ცარიელი ტერიტორიები. აგრეთვე, მოხდა განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალის კონტურის ცვლილება ფართის მატების გარეშე, კერძოდ, ნაკვეთ C12-თან, რომლის ნაწილი მოქცეული იყო სხვა განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში. მიწის ნაკვეთების ფართების დაზუსტების შედეგად ცვლილება განიცადეს შემდეგმა ნაკვეთებმა: B6/C5 - იყო 11 475კვ.მ და გახდა 11 820კვ.მ. C1- იყო 3 404კვ.მ და გახდა 3 292კვ.მ. C3- იყო 2 676კვ.მ და გახდა 2 290კვ.მ. C12- იყო 822კვ.მ და გახდა 1 094კვ.მ. აგრეთვე დაზუსტდა საპროექტო კოეფიციენტები ფუნქციური ზონებისთვის და შეადგინა: სზ-1: კ1- 0.4 კ2- 0.4 კ3 - 0.3 (გარდა C10 ნაკვეთისა, რომელსაც მინიჭებული აქვს კ1=0.5, კ2=0.5, კ3=0.3) შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 9-10 მ. (გარდა C10 ნაკვეთისა, რომელსაც მაქსიმალურ სიმაღლედ განსაზღვრული აქვს 15მ.) საპროექტო ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); ცვლილების ინტენსივობიდან

გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა. უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა ნინო წულძემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N304 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12- 032220694-03 25.07.2022წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N0122102873-67 (N01221253698-67; N01221384108-67; N01221504131-67; N01221782131-67; N01221923778-67; N01221933268-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

12. ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.918; №72.16.23.919; №72.16.23.920; №72.16.23.941; №72.16.23.943; №72.16.23.962; №72.16.32.024; №72.16.32.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-032220764-03 26.07.2022](http://www.ms.gov.ge))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.918; N72.16.23.919; N72.16.23.920; N72.16.23.941; N72.16.23.943; N72.16.23.962; N72.16.32.024; N72.16.32.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ფართობი ჯამში შეადგენს: 10 420.7 კვ.მ. (რეგისტრირებული 10 000კვ.მ.); საპროექტო ტერიტორიასთან ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან მოდის გრუნტის ნაწილობრივ მოხრეშილი გზა; ტერიტორიას დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ესაზღვრება კერძო ნაკვეთები; რელიეფი მცირე ქანობიანია, ძირითადად დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. მაქსიმალური განსხვავება ნიშნულებში შეადგენს 5 მეტრს; „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.918; N72.16.23.919; N72.16.23.920; N72.16.23.941; N72.16.23.943; N72.16.23.962; N72.16.32.024; N72.16.32.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N561 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი. საპროექტო წინადადებით აღნიშნული ტერიტორიის დაგეგმარება იგეგმება 13 მიწის ნაკვეთად; საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია: ტერიტორიის ფართობი შეადგენს 10 420.7 კვ.მ.-ს. (აქედან სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 1 334.7 კვ.მ.); კ1 - 0,5 კ2 - 0,8 კ3 - 0,4 სართულიანობა 1-3 სართული; მაქსიმალური სიმაღლე-15მ. გამწვანებული არეალის ფართობი-3768 კვ.მ. საპროექტო არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ სივრცეზე განვითარება არ იგეგმება, რომელიც დღეის მდგომარეობით წარმოადგენს არსებულ გრუნტის გზას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 1 ივნისის N01221522882 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 7 ივლისის N01221882020 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულემი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.918; N72.16.23.919; N72.16.23.920; N72.16.23.941; N72.16.23.943; N72.16.23.962; N72.16.32.024; N72.16.32.025) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032220764-03 26.07.2022წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01220731717-67 (N01221021-67; N01221364228-67; N01221821851-67; N01221874000-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

13. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.09.007.072; N01.17.09.007.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ([საკრებულოს №12-032221575-03 - 03.08.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.09.007.072; N01.17.09.007.073).საპროექტო

ტერიტორიის სრული ფართობი: 11 071.0 კვ.მ.; ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაგეგმილია ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნის საბაგირო ხაზის მშენებლობა. აღნიშნულ ხაზს გააჩნია 15 მეტრიანი შეზღუდვის არეალი ორივე მხარეს, რომელიც საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება ჩრდილოეთით მდებარე შიდასაუბნო გზიდან. ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაგეგმილია ისანი-მეტრომშენი-ვაზისუბნის საბაგირო ხაზის მშენებლობა. აღნიშნულ ხაზს გააჩნია 15 მეტრიანი შეზღუდვის არეალი ორივე მხარეს, რომელიც საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.09.007.073; N01.17.09.007.072) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 აპრილის N265 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ); საპროექტო ტერიტორიის განვითარება იგეგმება ერთ მიწის ნაკვეთად, რომელზედაც საპროექტო წინადადებით დგინდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) ფუნქცია და აღნიშნული ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია ხსენებულ ზონაში დასაშვები სახეობებით და პარამეტრებით. საპროექტო წინადადებით დაგეგმილი 3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ერთი კომერციული შენობის მშენებლობა და ერთი ტრანსფორმატორისთვის გათვლილი დამხმარე შენობანაგებობის განთავსება უკიდურეს სამხრეთ დასავლეთ ნაწილში. ასევე, ხევის მხარეს ტერიტორიის სამხრეთით დაგეგმილია გამწვანებული ტერიტორიის მოწყობა. ამასთანავე, ავტოსადგომების დიდი ნაწილის მოწყობა დაგეგმილია საცხოვრებელი სახლების მიწისქვეშა სართულებზე. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); მაქსიმალური სართულიანობა: 2- 9- 12. მაქსიმალური სიმაღლე: 13 მ. და 31-40.7 მ.; განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები: მიწის ნაკვეთი 11 071.0 კვ.მ. - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) კ1 - 0.3 კ2 - 2,5 (28 229 კვ.მ) კ3 - 0,3 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლი 1 აგვისტოს N01222133671 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმასაპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 1 აგვისტოს N01222133552 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო თანახმაა დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულქემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N18-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.09.007.072; N01.17.09.007.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების

გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032221575-03 03.08.2022წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01222033158-67 (N01222133030-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

14. „ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ. N31-ში მთაწმინდის ქ. N19-17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-032221576-03 - 03.08.2022](http://www.ms.gov.ge))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მთაწმინდის ქ. N17-ში, მთაწმინდის ქ. N19-ში, ყიფიანის ქუჩაზე, ყიფიანის ქუჩა N31- არსებული მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.15.06.001.005, N01.15.06.001.042, N01.15.06.001.040, N01.15.06.001.008). ჯამური ფართობი: 1 920 კვ.მ. „ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ. N31-ში მთაწმინდის ქ. N19-17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). „ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ. N31-ში მთაწმინდის ქ. N19-17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის კორექტირება განხორციელებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N14 განკარგულებით. აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით დადგენილია ცალკეულ სექტორებში: სექტორი N1 კ-1=0,5; კ-2=2,6; კ-3=0,2; სექტორი N2 და N3-ში არ იგეგმება შენობა-ნაგებობების განთავსება, შესაბამისად, მათი ფართობი არ არის გამოყენებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ანგარიშის დროს. რის გამოც გამოწვეულია სექტორ N1-ში კ2- 2.5-ის ნაცვლად კ2-2.6 დაფიქსირება. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით სამშენებლო ტერიტორიას ემატება 37 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.15.06.001.005). შესაბამისად, საპროექტო 40 ტერიტორიის ჯამური ფართობი -1883 კვ.მ-ის ნაცვლად არის 1920 კვ.მ. შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით იყო 1 სამშენებლო და 2 არასამშენებლო მიწის ნაკვეთი, კორექტირებით გათვალისწინებული საკადასტრო ერთეული ემატება სამშენებლო ტერიტორიას და ნაცვლად 1703 კვ.მ.-სა ხდება 1740 კვ.მ. არ იცვლება ქალაქმშენებლობითი პარამეტრები. წარმოდგენილი პროექტით ასევე, იცვლება საპროექტო შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლეები, კერძოდ:

შენობის მაქსიმალური სიმაღლე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: ბ-ბ ბლოკი 16.60.მ (ტექნიკური სართულის ჩათვლით 18,90 მ) 6 სართული, ა-ბ ბლოკი 13,28 მ, 5 სართული; შენობის მაქსიმალური სიმაღლე კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: ბ-ბ ბლოკი 16.60.მ, 6 სართული (ტექნიკური სართულის ჩათვლით 19.80.მ, სიმაღლე 3,20 მეტრი); ა-ბ ბლოკი 13,28 მ, 5 სართული (ტექნიკური სართულის ჩათვლით 15,58 მ, სიმაღლე 2,30 მეტრი); გაიზარდა ტექნიკური სართულის სიმაღლე ბ-ბ ბლოკში იყო 2,30 მეტრი, გახდა 3,20 მ; ასევე, მცირედით გადათამაშდა შენობის მოცულობა. კორექტირებას დაექვემდებარა კომპლექსის ავტოსადგომზე ჩასასვლელი პანდუსის მიმართულეა. წარმოდგენილი კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები: ნაკვეთი N1 ფართობით: 1740 კვ.მ საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) კ-1=0,5 კ-2=2,6 კ-3=0,2 სექტორი N2 და N3 - არასამშენებლო ნაკვეთებია და არ იგეგმება შენობა-ნაგებობების განთავსება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ისტორიული განაშენიანების ზონა 1 (ისტ-1) და ისტორიული განაშენიანების ზონა 2 (ისტ-2), აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N21 14.07.2022წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 ივლისის N60-01221991822 წერილი).

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულქემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ. N31-ში, მთაწმინდის ქ. N19-17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032221576-03 03.08.2022წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01220813540-67 (N01221264567-67; N01221803997-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

15. ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.571; N01.17.14.003.187) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” ([საკრებულოს №12-032221577-03 - 03.08.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე

მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.571; N01.17.14.003.187). საპროექტო ფართობი: 14 152 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). საპროექტო ნაკვეთებზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანება. ხოლო, მისასვლელელები მოწყობილია სამხრეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მხრიდან. ასევე, იგეგმება ფუნქციური ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) , სარეკრეაციო ზონა 1- ითა (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1); სავარაუდო ტექ- ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ფართობი (კვ.მ) – 14 152 კვ.მ; კერძო საკუთრება 11 888 კვ.მ; თვითმმართველი ერთეულის საკუთრება 2 264 კვ.მ; მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) – 2; შენობების რაოდენობა 2; მაქსიმალური სართულიანობა 12 სართული. ნაკვეთი N1 = 11 888 (კერძო საკუთრება). საპროექტო ზონირება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); განაშენიანების საერთო ფართობი (კ-1) - (0.5); განაშენიანების საერთო ინტენსივობა (კ-2) – (2.5); მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – (0.3); ნაკვეთი N2 = 2 264 (თვითმმართველის საკუთრება)- სამშენებლოდ შეზღუდული. სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1); - სკვერი კ1 = 0.2 კ2 = - კ3 = 0,8 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კ1 = კ2 = კ3 = 0,1 საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 28 ივლისის N0122209506 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 29 ივლისის N01222102282 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.17.14.003.187; N01.17.14.003.571 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარებისპრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია დაეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გამოითქვა მოსაზრება, დამატებითი შესწავლის მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის განხილვის გადადების.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.571; N01.17.14.003.187) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032221577-03 03.08.2022წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N0122117958-67 (N012216255-67; N01221893876-67; N01222013151-67; N01222063235-67)) გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

16. „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გარდაბანში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის N124 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032221579-03 - 03.08.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.683; №81.03.12.688; №81.03.12.687; №81.03.12.686; №81.03.12.685; №81.03.12.689; №81.03.12.684; №81.03.12.690; №81.03.12.691; №81.03.12.667; №81.03.12.668; №81.03.12.666; №81.03.12.669; №81.03.12.671; №81.03.12.670; №81.03.12.672; №81.03.12.673; №81.03.12.674; №81.03.12.675; №81.03.12.677; №81.03.12.676; №81.03.12.678; №81.03.12.679; №81.03.12.680; №81.03.12.681; №81.03.12.682; №81.03.17.910-ის ნაწილი). მთლიანი არეალის ფართობი: 13 723 კვ.მ. „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გარდაბანში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის N124 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ფუნქციური ზონირება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით: საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ფუნქცია: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, კომერციული, სასტუმრო.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ბლოკ N1-ს დადგენილი აქვს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სადაც განთავსებულია ძირითადად კომერციული შენობანაგებობები, N1-სექტორი - სავაჭრო - 2 სართული; N2 - ავტოსამრეცხაო - 1 სართული; N3 - სასტუმრო - 4 სართული, N4 - საცხოვრებელი, კომერციული - 6 სართული. ამასთან, არცერთ სექტორში არ არის ათვისებული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) მაქსიმალური კ-2 4,6. ბლოკ N2-ს დადგენილი აქვს საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), სადაც განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, ჯამურად: სსზ-2 კ-1= 0,5 – 1 957,2 კვ.მ კ-2= 1,6 – 6 448,2 კვ.მ. კ-3= 0,1 – 540,5 კვ.მ. სზ-2 კ-1= 0,3 – 1 945,8 კვ.მ კ-2= 0,5 – 3 891,6 კვ.მ. კ-3= 0,5 – 3 659,4 კვ.მ. სექტორები დამტკიცებული რეგულირების გეგმის მიხედვით მიხედვით: ბლოკი 1 - სექტორი 1 საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) – 642 კვ.მ. კ-1= 0,6 – 387 კვ.მ. კ-2= 1,2 – 774 კვ.მ. კ-3= 0,1 – 72,8 კვ.მ. კომერციული (სავაჭრო); 2 სართული მიწისზედა; ბლოკი 1 - სექტორი 2 საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) – 428 კვ.მ. კ-1= 0,4 – 165,2 კვ.მ. კ-2= 0,4 – 165,2 კვ.მ. კ-3= 0,2 – 64,2 კვ.მ. კომერციული (ავტო სამრეცხაო); 1 სართული მიწისზედა; წარმოდგენილი კორექტირება ეხება მხოლოდ N81.03.12.682; N81.03.12.681 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს, ბლოკი N1 სექტორი N1, N2. მოთხოვნილია N1 სექტორში 2 სართულიანი შენობის ნაცვლად 4 სართულიანი საზოგადოებრივი/კომერციული შენობა. ხოლო, N2 სექტორში 1 სართულიანი ავტოსამრეცხაოს ნაცვლად 4 სართულიანი საზოგადოებრივი/კომერციული შენობა. სიმაღლით და სართულიანობით უთანაბრდება მომიჯნავე N3 სექტორში განთავსებულ 4 სართულიან სასტუმროს. იზრდება კ-1, კ-2 კოეფიციენტები, თუმცა არც ამჟამად ხდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-სთვის (სსზ-2) დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის სრულად ათვისება. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით ჯამურად: სსზ-2 კ-1= 0,5 – 2 067 კვ.მ კ-2= 2,0 – 8 149 კვ.მ. კ-3= 0,1 – 540,5 კვ.მ. სზ-2 კ-1= 0,3 – 1 945,8 კვ.მ კ-2= 0,5 – 3 891,6 კვ.მ. კ-3= 0,5 – 3 659,4 კვ.მ. სექტორების მიხედვით: ბლოკი 1 სექტორი 1 საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) – 642 კვ.მ. კ-1= 0,6 – 387 კვ.მ. კ-2= 2,4 – 1 550 კვ.მ. კ-3= 0,1 – 72,8 კვ.მ. კომერციული/საზოგადოებრივი; 4 სართული მიწისზედა ბლოკი 1 სექტორი 2 საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) – 428 კვ.მ. კ-1= 0,6 – 275 კვ.მ. კ-2= 2,5 – 1 090 კვ.მ. კ-3= 0,2 – 64,2 კვ.მ. კომერციული/საზოგადოებრივი; 4 სართული მიწისზედა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულქემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გარდაბანში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის N124 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032221579-03 03.08.2022წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ -

გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01221941745-67) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

17. “ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი, N2-ში; ქალაქი თბილისი, კრწანისის I ჩიხი; ქალაქი თბილისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084; N01.18.06.015.237; N01.18.06.015.235) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032221769-03-05.08.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084; N01.18.06.015.237; N01.18.06.015.235) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. ჯამური ფართობი: 15 422 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩის მიმდებარედ. მიმდებარე ტერიტორია ძირითადად განაშენიანებულია დაბალი და საშუალო სიმაღლის შენობებით (მაქსიმუმ 7 სართული). საპროექტო არეალის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს დიდი ბრიტანეთის საელჩო და კრწანისის რეზიდენცია. სატრანსპორტო კავშირი ტერიტორიამდე ხორციელდება კრწანისის ქუჩიდან და კრწანისის მე-2 ჩიხიდან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია არსებული საცხოვრებელი ზონის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მთელ ტერიტორიაზე. დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. ხდება დაურეგისტრირებელი ტერიტორიის კონფიგურაციის ცვლილება ფართის უცვლელად (164 კვ.მ.) და ასევე საპროექტო არეალში შეყვანილია სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საკადასტრო ერთეულები. განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების ეტაპზე მოხდება ორ საკადასტრო ერთეულზე N01.18.06.015.237 და N01.18.06.015.235 დაგეგმარების დაზუსტება. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე მოხდება შესაბამის სტრუქტურების მიერ პოზიციის დაფიქსირება. საპროექტო ტერიტორიაზე გადადის სს “თელასის” საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზები და „თბილისი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული დაბალი წნევის გაზსადენი. შესაბამისად, გათვალისწინებულ უნდა იქნას აღნიშნული უწყებების 2022 წლის 05 ივლისის N0705/132/22 და 2022 წლის 05 ივლისის N01-13-50645-22 წერილები. საპროექტოდ დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ჯამური ფართი: 15 422 კვ.მ. აქედან 164 კვ.მ წარმოადგენს დაურეგისტრირებელ ტერიტორიას, 2 000 კვ.მ. - სახელმწიფოს

მფლობელობაშია, ხოლო 1 582 კვ.მ. - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მფლობელობაში. საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) ფართი - 15 422 კვ.მ. საპროექტო კოეფიციენტები: განაშენიანების ფართობი დაახლოებით: კ-1=0,5; განაშენიანების ინტენსიობის საანგარიშო ფართობი დაახლოებით: კ-2=2,1; მიწის ნაკვეთის გამწვანების ფართობი: კ-3=0,3 მაქსიმალური სართულიანობა: 5 სართული. არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5 1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა: ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში; ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/ გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 4 აგვისტოს N0122216276 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 28 ივლისის N01222092486 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციისფარგლებში თანახმაა N01.18.06.015.189, N01.18.06.015.162, N01.18.06.015.159, N01.18.06.015.084 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 20 ივლისის N61-01222012406 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, მისი გამოყენებით განხორციელდეს არასებული საკადასტრო ერთეულების ფართის უცვლელად კორექტირება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და განვითარდეს წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარებისპრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია დაეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულაძემ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი N2-ში; ქალაქი თბილისი, კრწანისის I ჩიხი; ქალაქი თბილისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084; N01.18.06.015.237; N01.18.06.015.235) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032221769-03 05.08.2022წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01221742114-67 (N01221993130-67; N01222133676-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

- 18.** ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.017) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03221436-03 23.05.2022; 17-032221051-03- 29.07.2022)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მითითებული საკითხი დამატებითი განხილვისთვის ჰქონდა გადადებული. შესწავლის პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ საკრებულოს წერილობით (№17-032221051-03 29.07.2022წ.) აცნობა, რომ სააგენტოში წარდგენილი 2022 წლის 15 ივნისის №01221661362-67 შეტყობინებით გამცხადებლის მიერ მოთხოვნილ იქნა N01221113507-67 (21.04.2022) განცხადების განუხილველად დატოვება, რის საფუძველზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2022 წლის 28 ივლისის

№22.1172.1275 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოაცხადა „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.017) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 4 მაისის №22.671.729 განკარგულება.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიზანშეწონილად მიიჩნია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცებას ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უარი ეთქვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.017) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-03221436-03 23.05.2022წ; №17-032221051-03 29.07.2022წ) გამოთქმული რეკომენდაციით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

19. ქალაქ თბილისში, ქუჩა ც. დადიანი, № 32; ქალაქი თბილისი, ქუჩა რკინიგზა, №30; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, №26 , ჩოდრიშვილის №2; ქალაქი თბილისი, რევაზ ურიდიას ქუჩა, №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.12.12.011.111; №01.12.12.011.120; №01.12.12.011.128; №01.12.12.011.001; №01.12.12.011.116; №01.12.12.011.129; №01.12.12.033.023; №01.12.12.033.019; №01.12.12.033.020; №01.12.12.033.022) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე ([საკრებულოს №12-032218235-03 01.07.2022](#))

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოდელიემ ოთარ ჩიტბემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქუჩა ც. დადიანი, N32; ქალაქი თბილისი, ქუჩა რკინიგზა, N30; ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, N26 , ჩოდრიშვილის N2; ქალაქი თბილისი, რევაზ ურიდიას ქუჩა, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.011.111; N01.12.12.011.120; N01.12.12.011.128; N01.12.12.011.001; N01.12.12.011.116; N01.12.12.011.129; N01.12.12.033.023; N01.12.12.033.019; N01.12.12.033.020; N01.12.12.033.022). არეალის ჯამური ფართობი: 217 188 კვ.მ. აღნიშნული შესაძლებელია დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება ახალქალაქის და სხვ. ქუჩები, კერძო და თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიები, რომლებიც ნაწილობრივ განაშენიანებულია მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებით. სამხრეთით ესაზღვრება „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული ტერიტორიები, დასავლეთით ესაზღვრება არსებული რკინიგზის მოქმედი ხაზი. ჩრდილოეთით კი ესაზღვრება სახელმწიფოს და შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული ტერიტორიები. საპროექტო ტერიტორიის რელიეფი სწორია, მასზე, დღეის მდგომარეობით, განთავსებულია შენობები, რომლის ნაწილის შენარჩუნება და ნაწილის დემონტაჟი დაგეგმილია პროექტით. მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ხე-ნარგავები. საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება საქართველოს რკინიგზის ლიანდაგის ხაზები. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) მცირე ნაწილზე- საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების ფენით ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2); საპროექტო ფუნქციური ზონირება - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული შესაძლებელია დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე. საპროექტო გადაწყვეტით დამატებით გათვალისწინებულია ტერიტორიის დასავლეთი საავტომობილო კავშირის მოწყობა, ხიდის ან/და გვირაბის სახით, რომელიც დაუკავშირდება გორის ან/ და ბაგრატიონის ქუჩას. საპროექტოდ რკინიგზის ხაზის 50 მეტრიანი შეზღუდვის არეალში (დასავლეთ ნაწილში) მოეწყობა გამწვანებული ბუფერი, ასევე, საპროექტო გადაწყვეტით მაქსიმალურად ხდება არსებული ხენარგავების შენარჩუნება და დამატებით ახალი მწვანე სივრცეების შექმნა. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: არეალის ჯამური ფართობი: 217 188 კვ.მ; სსზ-2-ში განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი სექტორისთვის (საკადასტრო) : კ1-0.3 განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი ჯამურად არაუმეტეს: კ2-1,9 (420 000კვ.მ); სსზ-2-ში მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი სექტორისთვის (საკადასტრო): კ3-0.3 შენობა-ნაგებობების ფუნქციები მთლიანი არეალისთვის ჯამური პროცენტულობა: 75% - საცხოვრებელი, კომერციული - 25%. ამასთანავე, თითოეული ახალი საპროექტო შენობისთვის, რომელშიც გეგმარებითი დავალებით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ფუნქცია შესაძლებელია მაქსიმუმ 90%-საცხოვრებელი და 10%-კომერციული, ზემოთმოცემული ჯამური პროცენტულობის შენარჩუნებით. მაკომპენსირებელი ღონისძიებით გათვალისწინებული ფართობი (4%-ის შესაბამისი ღირებულება) დაანგარიშდება თითოეული საპროექტო სექტორიდან (საკადასტრო ერთეულიდან) მხოლოდ ახალი საპროექტო მრავალბინიანი ფუნქციის შემცველი შენობებიდან (სექტორში საშუალო პროცენტულობის გამოთვლა არ უნდა მოხდეს სარეკონსტრუქციო კომერციული და მათი დამხმარე (ავტოსადგომი) შენობებიდან). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 27 ივნისის N01221783176 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 13 ივნისის N01221644026 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.12.12.011.001, N01.12.12.011.116, N01.12.12.011.120, N01.12.12.011.128, N01.12.12.011.129, N01.12.12.011.111, N01.12.12.033.023, N01.12.12.033.020, N01.12.12.033.022, N01.12.12.033.019 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა ლილე ლიპარტელიანმა, მამუკა გუგეშაშვილმა, მიხეილ კაკაურიძემ, ზაზა თავაძემ, საბა ბუაძემ და ნინო წულაძემ.

ლილე ლიპარტელიანის თქმით, დედაქალაქს აღნიშნული პროექტის განხორციელებით ემუქრება ურბანული კატასტროფა, რომელიც პირდაპირ უგულვებელყოფს გენერალური გეგმის მითითებებს და პრიორიტეტებს.

კომისიის წევრის მამუკა გუგუშვილის თქმით, პროექტი თბილისის გენერალურ გეგმასთან შეუთავსებელია და ამ მასშტაბის ახალი მშენებლობა დიდუბეში სატრანსპორტო კოლაფსს გამოიწვევს და ეკოლოგიურ მდგომარეობაზეც უარყოფითად აისახება.

კომისიის წევრის საბა ბუაძის თქმით, როგორც ცნობილია აღნიშნული პროექტი დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო მ/წლის 8 ივლისის კომისიის სხდომაზე და რა ახალი გარემოება გამოჩნდა და საჭიროება, რომ საკითხი გამოსული იყო დღევანდელ კომისიის სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარის რევაზ სოხაძის თქმით, პროექტი გენერალურ გეგმასთან წინააღმდეგობაში არ მოდის და არც ის გამოირიცხება, რომ მუშაობის პროცესში პირველადი გეგმა შეიცვალოს. დადგენილებაში ჩაიწერება რომ მშენებლობის ეტაპები განისაზღვრება გრგს ეტაპზე, სადაც ნათლად მოხდება ყველანაირი დეტალის შესწავლა. ამასთან საჯარო სივრცეების შექმნა იქნება პრიორიტეტი. მისივე თქმით, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე არეალიდან ამორიცხული იქნას არტ-პოლის ტერიტორია: 01.12.12.033.023 (9311.00 კვ.მ); 01.12.12.033.020 (2180.00 კვ.მ); 01.12.12.033.022 (932.00 კვ.მ); 01.12.12.033.019 (56.00 კვ.მ), რეკრეაციული სივრცეები მოეწყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად, პრიორიტეტი მიენიჭოს ერთიან კონცენტრირებულ რეკრეაციულ სივრცეს, გათვალისწინებულ იქნას სათანადო სატრანსპორტო კავშირები დადიანისა და წერეთლის ქუჩების მიმართულებით, გამოიყოს სივრცეები საჯარო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და განაშენიანების რეგულირების გეგმით დაზუსტდეს სამშენებლო ეტაპები და რიგითობა.

